

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2024 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 4 919,4 ათ. ლარი, ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის იყო 4 336,8 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 2 199,0 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 7 118,5 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2024 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 4 919,4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 3 889,4 ათ. ლარი (79%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 11,0 ათ. ლარი - ფაქტი 65,9 ათ. ლარი (599%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 2 010,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 836,4 ათ. ლარი (91%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 2 783,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 877,5 ათ. ლარი (67%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 115,0 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 95,9 ათ. ლარი (83%), აქედან: პროცენტის გეგმა 59,0 ათ. ლარი - ფაქტი 40,4 ათ. ლარი (68%); რენტა გეგმა 10,5 ათ. ლარი - ფაქტი 35,7 ათ. ლარი (340%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 5,5 ათ. ლარს ფაქტი 2,2 ათ. ლარი (40%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 3,6 ათ. ლარი - ფაქტი 2,2 ათ. ლარი (61%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 6,4 ათ. ლარი - ფაქტი 3,8 ათ. ლარი (59%); ნებაცოდლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 30,0 ათ. ლარი, შემოვიდა 11,5 ათ. ლარი (38%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 0,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 3,6 ათ. ლარი (360%)

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 7 118,5 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 4 172,3 ათ. ლარი (59%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 039,9 ათ. ლარი - ფაქტი 921,0 ათ. ლარი (89%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 291,3 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 269,5 ათ. ლარი (92%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 728,4 ათ. ლარი - ფაქტი 645,8 ათ. ლარი (89%); სარეზერვო ფონდის გეგმა 14,5 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5,6 ათ. ლარი (98%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 5 123,0 ათ. ლარი - ფაქტი 2 470,5 ათ. ლარი (48%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 1 408,9 ათ. ლარი - ფაქტი 232,2 ათ. ლარი (16%);

- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 163,8 ათ. ლარი - ფაქტი 159,8 ათ. ლარი (98%);

- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 8,1 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 24,3 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 41,0 ათ. ლარი - ფაქტი 27,3 ათ. ლარი (67%);

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 18,0 ათ. ლარი - ფაქტი 11,4 ათ. ლარი (63%);

- გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი 70,0 ათ. ლარი - ფაქტი 63,1 ათ. ლარი (90%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 16,5 ათ. ლარი - ფაქტი 15,1 ათ.ლარი (91%);
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 283,5 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 250,8 ათ. ლარი - ფაქტი 124,1 ათ. ლარი (49%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 593,4 ათ. ლარი - ფაქტი 63,5 ათ. ლარი (11%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 100,0 ათ. ლარი - ფაქტი 76,2 ათ. ლარი (76%);
- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 1 737,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 463,5 ათ. ლარი (84%);
- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 257,1 ათ.ლარი - ფაქტი 232,3 ათ.ლარი (90%);
- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 150,0 ათ.ლარი - ფაქტი 2,1 ათ.ლარი (1%).
- დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 203,0 ათ. ლარს, ფაქტი 192,0 ათ. ლარი (95%). აქედან:
 - დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 176,0 ათ. ლარი - ფაქტი 170,2 ათ. ლარი (97%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდის გეგმა 27,0 ათ. ლარი, ფაქტი 21,7 ათ. ლარი (80%);
 - უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ არის დაგეგმილი;
 - განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 181,3 ათ.ლარი - ფაქტი 181,1 ათ.ლარი (100%);
 - სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 120,0 ათ. ლარი - ფაქტი 119,8 ათ. ლარი (100%);
 - საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 61,3 ათ. ლარი - ფაქტი 61,3 ათ. ლარი (100%);
 - წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებები ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
 - კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 378,9 ათ. ლარი - ფაქტი 263,7 ათ. ლარი (70%). აქედან:
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 51,0 ათ. ლარი - ფაქტი 42,7 ათ. ლარი (84%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 29,0 ათ. ლარი - ფაქტი 24,7 ათ. ლარი (85%);
 - რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდის გეგმა 16,0 ათ.ლარი, - ფაქტი 16,0 ათ. ლარი (100%);
 - წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 3,0 ათ.ლარი - ფაქტი 1,3 ათ.ლარი (43%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 27,0 ათ. ლარი - ფაქტი 16,8 ათ. ლარი (62%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 15,5 ათ. ლარი - ფაქტი 14,6 ათ. ლარი (94%);
 - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 87,0 ათ. ლარი - ფაქტი 73,5 ათ. ლარი (84%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 21,0 ათ. ლარი - ფაქტი 18,6 ათ. ლარი (89%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 29,0 ათ. ლარი - ფაქტი 24,2 ათ. ლარი (83%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 15,5 ათ. ლარი - ფაქტი 14,1 ათ. ლარი (91%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 9,2 ათ. ლარი, ფაქტი 4,2 ათ. ლარი (46%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 47,8 ათ.ლარი ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 23,0 ათ. ლარი - ფაქტი 13,1 ათ. ლარი (57%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 5,0 ათ.ლარი, პირველ კვარტალში ხარჯი არ გაწეულა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 192,3 ათ. ლარი - ფაქტი 143,9 ათ. ლარი (75%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 45,0 ათ. ლარი - ფაქტი 11,1 ათ. ლარი (25%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 147,3 ათ. ლარი - ფაქტი 132,8 ათ. ლარი (90%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში ხარჯვა არ განხორციელებულა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2024წ.) ნაშთი შეადგენდა 4 051,7 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 2 605,4 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 1 446,3 ათ. ლარს.

შემსრულებელი:

თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი